ქართველოლოგიის გავრცელებისათვის უცხოეთის სამეცნიერო წრეებში

უკვე 15 წელზე მეტია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, რომელიც დღემდე უწყვეტად ემსახურება ქართველოლოგიური საქმიანობის უცხოეთში გატანის და საზღვარგარეთის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრის ქართველოლოგიით დაინტერესების საქმეს.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის ძირითადი დამფინანსებელია ამ ცენტრის ბაზაზე შექმნილი ქართველოლოგიური სკოლის ფონდი, რომელიც არსებობს ქველმოქმედებითა და შემოწირულობებით შემოსული სახსრებით. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, ისევე, როგორც „ფონდი" დაარსებულია პროფ. ე. ხინთიბიძის მიერ და დღემდე მოქმედებს მისი ხელმძღვანელობით.

„ცენტრი" მნიშვნელოვან პროგრამებს ახორციელებს, ესენია: სხვადასხვა კვლევითი სამეცნიერო პროექტი, საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზება და მისი მასალების ბეჭდვა, ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა, ორენოვანი ქართველოლოგიური ჟურნალის გამოცემა.

სამეცნიერო პროექტთაგან ორი მათგანი საგანგებოდაა აღსანიშნავი:

ა) 1994-96 წლების ნატოს გრანტით შეიქმნა უნიკალური ბიბლიოგრაფიული მონოგრაფია „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში" (გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე ევროპაში – ამსტერდამი 2001 წელი; ქართულ ენაზე საკუთრივ ქართველოლოგიური სკოლის ფონდის მიერ 2003 წელს. ამ კვლევა-ძიების საფუძველზე თსუ-ში შეიქმნა და ყოველწლიურად იკითხება სამაგისტრო კურსი „ძველი ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში".

ბ) ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტთან ერთობლივი პროექტით 2005 წელს გერმანულ ენაზე გამოიცა „ევფხისტყაოსნის" დაკარგულად მიჩნეული მარია პრიტვიცისეული გერმანული თარგმანი ავტორისეული ხელნაწერის მიხედვით.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტზე – „მცირე ერების დიდი კულტურა“, რომლის ფარგლებში მზადდება ინგლისში გამოსაცემად მონოგრაფია „რუსთაველის წარმოჩენა“.

„ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში“ დაარსდა და 1993 წლიდან ყოველწლიურად გამოდის ინგლისურ და ქართულენოვანი ჟურნალი „ქართველოლოგი“, რომელიც ეგზავნება უცხოელ ქართველოლოგებს და უცხოეთის დიდ ბიბლიოთეკებს: კონგრესის ბიბლიოთეკა (აშშ), ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკა (ინგლისი), ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკა.

„ცენტრის“ მიერ დაარსებულია და სისტემატურად და რეგულარულად ტარდება საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმები ქართველოლოგიის მიმართულებით. ჩატარებულია ხუთი მსოფლიო სიმპოზიუმი და ცენტრის მიერ გამოცემულია წინა ოთხი მათგანის მასალები თანამედროვე ევროპული სტანდარტის დონეზე.

უნდა ითქვას, რომ „ცენტრის“ მიერ განხორციელებულ ქართველოლოგიურ პროგრამათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „საერთაშორისო ქართველოლოგიური -საზაფხულო სკოლა“, რომელიც უწყვეტად ტარდება 1995 წლიდან.

ამ პროგრამის მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება. დღევანდელი მონაცემებით სკოლის არსებობის მანძილზე მასში დაახლოებით 160 უცხოელი ახალგაზრდა მონაწილეობდა – ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან, ნორვეგიიდან, შვეციიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან, ავსტრალიიდან, თურქეთიდან, ირლანდიიდან, ირანიდან. ზოგიერთმა მათგანმა ამ „ცენტრში “ განაგრძო სწავლა ქართველოლოგიის სპეციალობით, დღეს ისინი ცნობილი ქართველოლოგები არიან, რომელთაც შეცვალეს საზღვარგარეთ ქართველოლოგიით დაინტერესებული ძველი თაობის ინტელიგენცია. ბევრი მათგანი დღეს მოღვაწეობს საზღვარგარეთ, როგორც მეცნიერ-ქართველოლოგი (იაპონიაში, ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში: იასუჰირო კოჯიმა, ანტონი ისტმონდი, ანტონი სტობარტი, ხოსე იგნასიო მარტინესი, მარია საუნა), ქართველოლოგი-პოლიტმიმომხილველი (ამერიკა, შვედეთი, საბერძნეთი, იტალია: კელი ჰაში, რობერტ ლარსონი, ელენი

სიღერი, ელეტრა ერკოლინო). ბევრი მათგანი ამ საზაფხულო სკოლით აღძრული ინტერესით თავიანთი უნივერსიტეტების მიერ სასწავლებლად ხანგრძლივად იქნა მოვლენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იტალია, რუსეთი: მარია საუნა, ანა რასკინა, ვასილისა კრილოვა, ანა ჩუგუნოვა, ევგენია ზახაროვა). ზოგი მათგანი ევროკომისიის მიერ იქნა დასაქმებული საქართველოში, როგორც ამ ქვეყნის მცოდნე ექსპერტი (ინგლისი: ჯონ რაიტი). ამ სკოლაში მიიღო მონაწილეობა და გადადგა პირველი ნაბიჯები ქართველოლოგიაში ჩვენი ქვეყნის პირველმა ლედიმ, სანდრა რულოვსმა.

საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის პროგრამა უნიკალურია. სკოლა მოწოდებულია უცხოელებს ასწავლოს არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ მისცეს სრული ინფორმაცია ქართველოლოგიურ დისციპლინებზე და მოამზადოს მომავალ კადრად ქართველოლოგიაში. ამას ემსახურება სკოლის პროგრამა, კერძოდ: სკოლის უცხოელ მსმენელთა რაოდენობა თითოეული წლისათვის განსაზღვრულია არა უმეტეს 8-10 მონაწილით. საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობაა 5 კვირა. ქართული ენის სწავლებას უძღვება ორი პედაგოგი და რამდენიმე ასისტენტი.

საზაფხულო სკოლის აკადემიური პროგრამის მეორე მიმართულებაა ლექციები ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. ლექციები მიმოხილვითი და პროპედევტიკული ტიპისაა. ლექციებს კითხულობენ ცნობილი ქართველი მეცნიერები ინგლისურ ენაზე ან სინქრონული ინგლისური თარგმანით.

სკოლის მუშაობის ერთი ძირითადი მიმართულებაა კულტურული პროგრამა: საზაფხულო სკოლის უცხოელი მსენელები ეცნობიან საქართველოს ძველ და თანამედროვე კულტურულ ცხოვრებას, ყოველი კვირის ბოლოს დაგეგმილია ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის ერთი სპეციფიკა უცხოელ სტუდენტთა და სკოლის ქართველ ახალგაზრდა თანამშრომელთა საზაფხულო სკოლის მთელი მუშაობის პერიოდში, როგორც სამუშაო ასევე დასვენების დღეებში, ერთად ყოფნა: მეცადინეობები, საუზმე და საღილი, კონცერტები და სპექტაკლები, ექსპედიციები,

მოგზაურობები. ქართული სიტუაცია ააღვილებს ენის შესწავლას და ქვეყანასა და ხალხთან დამეგობრებას.

2009 წლის ზაფხულის საერთაშორისო ქართველოლოგიური სკოლის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა 8 სტუდენტით. ესენი იყვნენ:

ტომას დანინგი (**ირლანდია**), იასუნო ტაკემურა (იაპონია), პრშემისლავ ნოცუნი (**პოლონეთი**), მაჰმეთ ნადირ აჯეთი (**თურქეთი**), სემა ბილგიჩი (**თურქეთი**), ალფერ საღლამი (**თურქეთი**), რასელ ტრავენენ ჯონსი (**დიდი ბრიტანეთი**), ერდოგან **კარაშაჰი** (**თურქეთი**).

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს საზაფხულო სკოლის მონაწილეების ერთი ნაკადი (3 სტუდენტი და 1 ლექტორი) ჩამოსული იყო ყარსის კავკასიის უნივერსიტეტიდან, სადაც სულ რამდენიმე წელია, რაც დაარსდა ქართული ენის კათედრა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული ენის შესწავლის მიზნით სხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოდიან უცხოელ სტუდენტთა ჯგუფები. ასეთი ჯგუფები ჩამოვიდნენ რამდენჯერმე გერმანიიდან, კერძოდ, იენის უნივერსიტეტიდან, სადაც პროფესორ ჰაინც ფენრიხის თაოსნობით მოქმედებდა ქართველოლოგიური განყოფილება. ასე იყო 2004 და 2007 წლებში, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური კათედრის სტუდენტები ჩამოვიდნენ და მონაწილეობა მიიღეს ქართველოლოგიურ საზაფხულო სკოლაში.

ალბათ კარგი იქნება, თუ მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს მიმდინარე წელს ჩატარებული სკოლის მონაწილეთა ინტერვიუებიდან.

ალპერ საღლამი: *მომხიბლა ქართულმა ლიტერატურამ, სტუმართმოყვარეობამ და სამზარეულომ. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ შესაძლებლობა მომეცა, ბევრ საინტერესო ადგილს ვწვეოდი. საქართველო მშვენიერი ქვეყანაა, განსაკუთრებით კი თბილისი მომეწონა. აქ ბევრი ისტორიული ადგილია. ბედნიერი ვარ, რომ ქართულ და თურქულ კულტურას ბევრი რამ აღმოაჩნდათ საერთო. აუცილებლად ვურჩევ ჩემს თურქ მეგობრებს, დაინტერესდნენ საზაფხულო ქართველოლოგიური სკოლით.*

ნადირ აჯეთი: *საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ქართველი ხალხის გული ძალიან დიდია. მომავალში სიამოვნებით ვიცხოვრებდი საქარველოში, კერძოდ, ანანურში.*

ჩემს თანამემამულეებსაც ვურჩევ, ეწვიონ საქართველოს. ქართულის სწავლას აუცილებლად განვაგრძობ.

სემა ბილგიჩი: *ქართველებმა მომხიბლეს. ისინი გამრჯე, ალალი და თავდადებულები არიან. აქ ყველა პატივს სცემს ერთმანეთს. მომეწონა საქართველოს ბუნება. საითაც გაიხედავ, ყველგან ხე დგას, ყველაზე განსაკუთრებული კი, ვფიქრობ, ღვინოა! თურქეთში სხვებსაც უსათუოდ ვურჩევდი საქართველოში ჩამოსვლას და საგაფხულო სკოლის კურსის მოსმენას. ქართულის სწავლას არ შევწყვეტ.*

პრშემისლავ ნოცუნი: *საქართველო მდიდარი კულტურის მქონე ქვეყანაა, ხალხი საოცრად სტუმართმოყვარეა. ჩემი აზრით, აქ ყველაფერია, რაც ტურისტებს დაინტერესებთ. მინდა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მოინახულოს ეს შესანიშნავი ქვეყანა. ყველა ჩემს თანამემამულეს ვურჩევ, საქართველო მოინახულოს. თუ ისინი ქვეყნის ისტორიით, კულტურითა და ქართული ენით დაინტერესდებიან, საგაფხულო სკოლა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ყველა ამ სფეროს შესახებ საჭირო ინფორმაცია მიიღონ.*

რასელ ტრავენენ ჯონსი: *რთულია რამდენიმე სიტყვით გამოვხატო ის გრძნობა, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ მაქვს. ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ამ უკიდურესად კულტურულ, განათლებულ, მდიდარ და აქტიურ ერს გაუგო, ისაა, რომ ყოველივე თავად განიცადო. აქ ყველა ძეგლი, ყველა შენობა ისტორიულია. შუა საუკუნეების ტაძრებსა თუ უძველეს ციხეებს თითქმის ყველა ფურდობზე შეხვდებით. ქართველები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობით, ენით. საუკუნეთა განმავლობაში ქართულმა ენამ გაუძლო ოკუპაციას და შევიწროებას. ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი მომავალშიც განაგრძობს წინსვლასა და განვითარებას.*

ტომას დანინგი: *ყველას ვურჩევ, რომ საქართველო მოინახულოს! ეს მართლაც არაჩვეულებრივი ქვეყანაა. ერთი სული მაქვს, კიდევ როდის ვესტუმრები მას! საგაფხულო სკოლაში სწავლას ყველა იმ ადამიანს ვურჩევდი, ვისაც სურს უკეთ გაიცნოს საქართველო, ქართველი ხალხი, შეისწავლოს ქართული ენა. აქ ჩამოსელამდე მეგონა, შორდანაც შესაძლებელი იყო საქართველოს გაცნობა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თუ გსურს, ეს ქვეყანა კარგად გაიცნო, მისი კულტურა შეითვისო და შეისისხლხორცო, საჭიროა აქ*

იყო და ყველაფერი თავად განიცადო. საზაფხულო სკოლამ ამის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომცა.
იასუნო ტაკემურა: *პირველი ასოციაცია, რაც საქართველოსთან დაკავშირებით მომდის თავში, არის სტუმართმოყვარე ხალხი, ენით აუწერელი სილამაზის მქონე ბუნება და უგემრიელესი საჭმელი. ქართველებს სხვა ხალხისგან, უპირველეს ყოვლისა, ის გამოარჩევს, რომ ყოველთვის მზად არიან დახმარებისათვის.*

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის“ ჩასატარებლად ქართველოლოგიური სკოლის ფონდს პერიოდულად თანადაფინანსებას უწევს ზოგჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოგჯერაც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. ხოლო წელს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან არსებულმა რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, სადაც ქართველოლოგიურმა საზაფხულო სკოლამ წარადგინა საკუთარი პროექტი და გაიმარჯვა.

ასე რომ, ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის ორგანიზატორთა, პედაგოგთა და თანამშრომელთა წლევანდელ დიდ წარმატებაში, რაზედაც საქვეყნოდ ლაპარაკობენ უცხოელი სტუდენტები, რუსთაველის ფონდის მიზნობრივი საგრანტო პროექტის წვლილიც ძალზე მნიშვნელოვანია.

ნინო ჩაკუნაშვილი